

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პილოტული პროექტის მოხარული წევრები

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მდგომარეობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდა-თიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 761 მილიმეტრი. ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვლქუაბი, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

კრიკოსი N108

კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ უკრაინის შესაბამისმა სამსახურებმა წარმოადგინონ რაიმე სახის მტკიცებულება საქართველოსთვის წაყენებული ამპარზონი ბრალდების შესახებ ან საჯაროდ, იმავე წყაროებით და ფორმით უარყონ სამინისტროს აბსურდული განცხადებები მეგობარი და პარტნიორი ქვეყნის - საქართველოს მიმართ, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა. აღნიშნულით ის გამოეხმაურა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ინფორმაციას, რომ რუსეთი სანქციების ქვეშ მოქცეული სამხედრო დანიშნულებისა და სხვა სახის პროდუქტის კონტრაბანდის არხებს ქმნის, რომელიც, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე გაივლის.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ყოველთა სომხეთის კათალიკოს გარეგანი მფრინველი შეხვდა. შალვა ბაბუაშვილი და ყოველთა სომხეთის კათალიკოსმა შეხვედრაზე ქართველ და სომხ ერებს შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან ისტორიულ კავშირებზე ისაუბრეს.

პარტია „საქართველოსთვის“ ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დაიწყოს მართლმსაჯულების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა. „გამოწვევების მასშტაბების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ამბიციური დღის წესრიგი, რომელიც მის ყველა რგოლს მოიცავს და დაუყოვნებლივ დაიწყოს მისი იმპლემენტაცია, ვინაიდან აღნიშნულზე მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული ევროკავშირში გაწევრიანებაზე საქართველოს მიერ გაკეთებული განაცხადის წარმატება“, - განაცხადა „საქართველოსთვის“ წევრმა მიხეილ დაუშვილმა.

მშენებლობის ნებართვის მფლობელები საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან და გადაუხდელი საურავისგან 2023 წლის 1 იანვრამდე თავისუფლდებიან. საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი გათვალისწინებული ცვლილებები კოლეგებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ერთ-ერთმა ინიციატორმა ბექა დავითიანი-მა გააცნო. კომიტეტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა.


აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ვებპლატფორმის პრეზენტაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში ახალი ონლაინპლატფორმის - chaerte.sca.ge-ს პრეზენტაცია გაიმართა. პლატფორმა უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად შეიქმნა.

„ჩაერთეს“ საშუალებით დანერგებული პირები ისარგებლებენ სხვადასხვა ელექტრონული სერვისით, ჩაერთვებიან პლენარული და საკომიტეტო სხდომების საქმიანობაში, მონაწილეობას მიიღებენ საჯარო კონსულტაციებში, გაეცნობიან საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელ სხვა ინფორმაციას. პლატფორმა სრულად ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის და გააჩნია ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სტანდარტი საქართველოში (თითქმის სრულად პასუხობს WCAG AA დონის გლობალურ სტანდარტებს).

პლატფორმა შემუშავდა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში“ ფარგლებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით.


ონლაინპრეზენტაცია, რომელიც Zoom პლატფორმის მეშვეობით გაიმართა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, გაეროს გან-



დღესი საბჭო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივას შეუერთდა. შეიქმნა ღია მმართველობის საბჭო, რომლის მიზანია საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციური ეფექტურობის გაძლიერება, ღიაობის პრინციპების დანერგვა, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შორის, ერთ-ერთი მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრისა და

პირთა მხარდაჭერის ცენტრის წარმომადგენელმა რამინ მჭარაშვილმა, პრეზენტაციის სხვა მონაწილეებმა.

„ჩაერთეს“ დანიშნულებათა, მის ფუნქციებსა და მოდულებზე დეტალური ინფორმაცია მონაწილეებს აჭარის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ხათუნა ნაყურმა, მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა სუზანა გაშაყაძემ მიაწოდეს.



ვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნიკ ბერესფორდმა, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილე კატალინ გერმანმა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა გახსნეს. მასში ჩართვა ყველა დანიშნულ პირს შეეძლო.

„აჭარის უმაღლესი საბჭო ცდილობს იყოს კიდევ უფრო ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი საზოგადოების ფართო ფენებისთვის. სწორედ ამ მიზნით, ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით, უმა-

ახალი ონლაინპლატფორმის - chaerte.sca.ge-ს ამოქმედება, რაც არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობითა და მხარდაჭერით, რეალურად იქცა, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ ონლაინპლატფორმის პრეზენტაციისას.

ნიკ ბერესფორდმა დადებითად შეაფასა საკანონმდებლო ორგანოში ღია და გამჭვირვალე მმართველობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით, აჭარის უმაღლესი საბჭო აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების საჯარო დაწესებულებებს შორის ლიდერია.

საკანონმდებლო ორგანოში მოქალაქეთა ჩართულობის ციფრული ტრანსფორმაციის გაუმჯობესების კუთხით გატარებული ღონისძიებები და თანამშრომლობა დადებითად შეაფასეს შუშ

„ჩაერთეს“ დანიშნულებათა, მის ფუნქციებსა და მოდულებზე დეტალური ინფორმაცია მონაწილეებს აჭარის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ხათუნა ნაყურმა, მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა სუზანა გაშაყაძემ მიაწოდეს.

chaerte.sca.ge-ს საშუალებით მოქალაქეები შეძლებენ: ელექტრონული პეტიციების წარდგენას, არსებულის მხარდაჭერას, ინიციატივების სამართლებრივი აქტების გაცემას, მათზე კომენტარის გაკეთებას, უმაღლესი საბჭოსთვის წერილობით მოთხოვნას, პლენარულ, საკომიტეტო სხდომებზე დასწრებას, უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრის წინასწარ ჩანისვნას, უმაღლესი საბჭოს საზედადმხედველო ფუნქციების, აჭარის რესპუბლიკაში ბიუჯეტის, უმაღლესი საბჭოს წევრების სადებუტატო კითხვების/მიღებული პასუხების, ასევე უმაღლესი საბჭოს, ცალკეული წევრების, კომიტეტების, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარდგენილი ანგარიშების გაცენას.

ონლაინპრეზენტაციაში მონაწილეობდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, აპარატის თანამშრომლები, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები, ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მონაწილეებმა მიიღეს პასუხები მათთვის სასურველ კითხვებზე.

ახალი პლატფორმის პრეზენტაცია, შესტური ენის საშუალებით, ხელმისაწვდომი იყო შუშ პირებისთვის. კითხვა-პასუხის რეჟიმის მსვლელობისა და დაიგემა მათ წარმომადგენლებთან შეხვედრა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, უმაღლესი საბჭოს „მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში“ პირველი მოქალაქე მიიღეს.

რამდენად მნიშვნელოვანია დასავლეთის მხარდაჭერა და რეზოლუციები საქართველოსთვის? ისრაელის რეპორტაჟი - ბათუმი

3 4



კომიტეტმა საკანონმდებლო ინიციატივას მხარი დაუჭირა

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (III მოსმენა), „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნის და მართვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივები წარადგინა. ინფორმაცია ამის შესახებ როგორც პარლამენტმა, ისე რეგიონის საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა.

„გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებების მიღებით, ავტონომიური რესპუბლიკების დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს დასაქმებისა და ახალზრდობის სფეროში გრანტის გაცემის უფლებამოსილება ენიჭებათ. რაც შეეხება „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის პროექტს, მისი მიღება მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები კი „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის“ მართვის ორგანოს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერისა და მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიაზე ჩადენილ სამართალდამრღვევებზე შესაბამისი რე-



გირების (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის) უფლებამოსილებას ანიჭებს. კანონპროექტების ავტორები არიან აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები: ვლადიმერ მაგლოზიშვილი, ფრიდონ ფუტკარაძე, მარინე გვიანიძე და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).

„პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივას. როგორც დავით გაბაიძემ აღნიშნა, გაეროს განვითარების პროგრამამ მხარი დაუჭირა ახალ ინიციატივას და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით დაფინანსა ახალი დაცული ტერიტორიის დაარსების მხარდაჭერის პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობის იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ შედის ეროვნული პარკის შემადგენლობაში. პროექტის მიზანია, შეიქმნას დაცული ტერიტორიების რეგიონული კომპლექსი დასავლეთ საქართველოს მცირე კავკასიონის ქედის საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების დაცვისა და გონივრულად სარგებლობის მიზნით. ამ პროექტის ნაწილს წარმოადგენს სწორედ მაჭახლის დაცული ლანდშაფტი“, - აღნიშნულია პარლამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ი.ა. შველიძე

გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის დელეგაციის ვიზიტი დასრულდა

გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ბათუმში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციის წევრებმა კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები შეაფასეს, ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობა და მახინჯაურის წყლის რეზერვუარები დაათვალიერეს.

ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობა 2018 წელს აშენდა. იგი ჩამდინარე წყლების შეგროვებასა და ბიოლოგიურ გაწმენდას უზრუნველყოფს. ნაგებობა 1200 ოჯახს ემსახურება.

მახინჯაურის 1800 კუბური მეტრი მოცულობის წყლის სამარაგო რეზერვუარიც ექსპლუატაციაში 2018 წელს შევიდა. რეზერვუარი წყლით უწყვეტად ამარაგებს მწვანე კონცხის, მახინჯაურის, განთიადისა და თამარის დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას.

ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ოთხი ფაზის ფარგლებში განხორციელებული სამუ-



შაობისთვის 195 მილიონ ევროზე მეტი დაიხარჯა.

ვიზიტის ფარგლებში, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის შემდეგი ფაზის განხორციე-

ლებასთან დაკავშირებით, გაიმართა შეხვედრები ბათუმის მერიასა და შპს „ბათუმის წყალში“.

ბათუმის მერთან, არჩილ ჩიქოვანთან შეხვედრისას განიხილეს პროექტის მეხუ-

თე ფაზის განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალები, ტექნიკური საკითხები და ინვესტიციების ფინანსური ასპექტები.

- გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის ვითარების ბანკის წარმომადგენლებთან ნაყოფიერი შეხვედრა გაგმართეთ. ცოტა ხნის წინ ჩვენ პრინციპულ შეთანხმებას მივაღწიეთ პროექტის მეხუთე ფაზის განხორციელებასთან დაკავშირებით შეხვედრისას კი განვიხილეთ ტექნიკური დეტალები და განხორციელების სტადიები. აღნიშნული პროექტის საერთო ჯამური ღირებულება არის 80 მილიონი ევრო, რაც ბათუმთან შემოერთებულ ტერიტორიებზე კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოხმარდება. ეს ჩვენი თანაქალაქელების ყოფითი პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

ვიზიტის ფარგლებში ბანკის წარმომადგენლებმა ასევე დაათვალიერეს KfW-ს დაბალპროცენტუანი სესხით აშენებული და რეაბილიტირებული ობიექტები.

ელენე საგვარჯიძე

საბაზაფხულო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

ა(ა)პ „აგროსერვისცენტრის“ ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში საბაზაფხულო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. მეურნეობის სათბურში შარშან განთავსებული ნამყენი ნერგები გადაიჭრა, მიმდინარეობს პროგრამით გათვალისწინებული ტორფის სუბსტრატით ქოთნების შევსება და ტრიფოლიატის ნერგების პიკირება, შესაბამისი ფუნჯიციდებითა და პესტიციდებით ტარდება წამლობითი ღონისძიებები მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ. ჩატარდა ციტრუსის ვარჯის სხვა - ფორმირება, დამუშავდა ნიადაგი და დაითესა 50 კგ ციტრუსის საძირის ტრიფოლიატის თესლი.



ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში ციტრუსის ერთწლიანი ნერგების რეალიზაცია შემოდგომიდან დაიწყება.

წელს სანერგე მეურნეობაში ლიმონის, საადრეო და საგვიანო ჯიშის მანდარინის, გრებიფრუტისა და ფორთოხლის, ჯამში, 10000-მდე ციტრუსის ნერგს აწარმოებენ.

ანაბა ჩხიკვაძე

„კელაგობთა კლუბის“ განვითარებისა და მხარდაჭერისთვის

ღობა გონაგონი 599 85 21 14

თბილისში, „ქი ქონსალთინგის“ ორგანიზებით, განათლების სამიტი გაიმართა, რომელზეც სტუმრის სტატუსით მიწვეული იყო ხულოს მუნიციპალიტეტის ღურთის საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებელი მზია კახაძე-იაკობაძე. მას კომენტარი ვთხოვეთ:

- სამიტზე საქართველოს კერძო და საჯარო სკოლების პოლიტიკის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულების დირექტორები და პედაგოგები ესწრებოდნენ. „ქი ქონსალთინგი“ არის ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს პედაგოგებისთვის, მისი დამფუძნებელი და დირექტორია ლიკა ოხანაშვილი, ასევე, მარკეტერი და ბიზნეს-ტრენერი. იგი ორჯერ მოხვდა ფორბსის 30Under30-ის გამარჯვებულთა შორის ამ ორგანიზაციის დაფუძნებისთვის. „ქი ქონსალთინგის“ ერთ-ერთი პროექტია „პედგოგთა კლუბი“, რომელიც აერთიანებს განვითარებაზე ორიენტირებულ, აქტიურ მასწავლებლებს. ისინი გადიან სხვადასხვა ტრენინგს, ესწრებიან კონფერენციებს, განათლების ფორუმებს. კლუბის მიზანია, ერთმანეთთან დააკავშიროს პედაგოგები და მისცეს მათ განვითარების მეტი საშუალება. ორგანიზაცია აქტიურად ახორციელებს კამპანიას: „იამაყე პედგოგთ“. ამ პროექტის ფარგლებში მოამზადა სტატია ჩემი და ჩემი მეგობრის ნატალია თურქაძის საქ-



მიანობაზე. გადმოგვცა მადლობის სიგელი „პედგოგთა კლუბის“ განვითარებისა და მხარდაჭერისთვის, - გვითხრა მან.

ვულოცავთ ქალბატონ მზიას კიდევ ერთ ჯილდოს და წარმატებებს ვუსურვებთ.



როგორ – ორგანიზაციის მსოფლიო ფესტივალი

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

დღეს იტალიის ქალაქ რომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტაძარში - წმინდა პავლეს საბატოს ბაზილიკაში გაიმართება ჯოვანი ბატისტა პერგოლინის გარდაცვალებიდან და „სტაბატ მატერის“ პირველი შესრულებიდან 285-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ბათუმის მუსიკალური ცენტრის კაპელა არასრული შემადგენლობით (ქორმისტერი ლელა დოლიძე, დირიჟორი ქეთევან მანელიშვილი)

რამდენიმე წლის წინ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მანანა კიბიშვილმა იტალიიდან ცნობილი მუსიკოსის, საერთაშორისო ფესტივალის „ორგანიზაციის მსოფლიო დღის“ დამფუძნებელ და პრეზიდენტ ჯოვანი მარია კალაპი ჯორდანოსაგან მიწვევა მიიღო. მან სამი წლის წინ პეზაროში ჩვენ კაპელას მოუსმინა, მოეწონა. და... მიიწვია კიდევ ბათუმელები იტალიაში.

- ჩვენი კაპელა (მხოლოდ ქალთა შემადგენლობა) შესრულებს „სტაბატ მატერიდან“ შედ ნომერს, ასევე შესრულდება ილია მეორის „ავე მარია“, რომლის სოლისტი იტალიაში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერალი, სოპრანო ნინო ლეუვაია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საორგანო ფესტივალში მონაწილეობა. გუნდს ორგანზე აკომპანირებას გაუწევს ცნობილი იტალიელი მანქანის მესტრო, რომის სეზარ ფრანკის და ბარსელონის ორგანის საერთაშორისო ფესტი-

ვალის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბენევენტოს კონსერვატორიის დოცენტი ხუან პარადელ სოლე, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო მეორგანედ ითვლება, - გვიხარია ბათუმის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოდელი ქეთევან მანელიშვილმა.

- როცა იტალიიდან წერილი მოვიდა, სამინისტრო დაუკავშირდა ვატიკანის ელჩს

ქეთევან მუხრან-ბაგრატიონს, რომელმაც დაადასტურა ინფორმაცია საიუბილეო საღამოს შესახებ. კარგად ვიცით, რომ პოლიფონიური მუსიკა კათოლიკური ეკლესიის წიაღში დაიბადა, ეს მათი კულტურაა. ბათუმელები რომ პოლიფონიურ მუსიკას შეასრულებენ, თანაც იტალიელებისათვის მნიშვნელოვან ტაძარში, ამას გამორჩეული დატვირთვა აქვს კულ-

ტურის თვალსაზრისით. ეს ტაძარი ბიბლიური ადგილია, ბიზანტიურ-რომაული სტილით, - გვიხარია დელეგაციის ხელმძღვანელმა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა თეა ჭანტურიშვილმა.



სპორტი

ბელა ბოლქვაძის ევროპული პერსონალი

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

ბუდაპეშტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის ფალანგმა გელა ბოლქვაძემ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

გულოცავთ ამ წარმატებას გელასა და მის მწვრთნელ მინდია შაინიძეს.



ყველა სიწვილის მედალი

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

საშურში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 17 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის.

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენებმა სხვადასხვა წონით კატეგორიაში სამო ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ტურნირის გამარჯვებულები ანრი ხოზრევანიძე (51 კილოგრამი წონითი კატეგორია), საბა სურმანიძე (55კგ) და ანრი ფუტყარაძე (71 კგ) გახდნენ.

ვერცხლის მედალს დაეუფლა ანრი დავითაძე (80 კგ), ბრინჯაოს - ლუკა კოჩიაძე (55კგ) და ლუკა შავაძე (110კგ).

წარმატებას ვულოცავთ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს - მარად აბულაძეს, მინდია შაინიძეს, უჩა შავაძეს, დიმიტრი ქინქლაძეს.



ქართული ფინალი

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

ბოლონეთის ქალაქ ტარნოვოში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი შედგა, სადაც ერთმანეთს ანდრეი ზინჩენკო და მინდია მეგლაძე შეხვდნენ. აქ ანდრეი ზინჩენკომ იმარჯვა, ბათუმელი სპორტსმენი მინდია მეგლაძე ვერცხლს დასჯერდა. გულოცავთ მინდიასა და მის პირად მწვრთნელს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან ცინცაძეს ამ წარმატებას.


ჩემპიონატზე პირველი ადგილი ასევე მოიპოვეს ლაშა ოზბეთელაშვილმა (75 კილოგრამი წონითი კატეგორია) და თეონა გაზდელიანმა (55 კგ). მესამე ადგილი დაიკავა ლაშა ყამარაშვილმა (+95 კგ).



ნაპოლიში სერიას ზედმეტსახელი უკვე მოუფიქრეს

napoliu.com-ი ხეიხა კვარაცხელიას „ნაპოლიში“ ტრანსფერის შესახებ წერს. როგორც საიტი აღნიშნავს, ქართველი იტალიური კლუბის მომავალი ვარსკვლავი უნდა გახდეს და ლორენცო ინსინიე ჩაანაცვლოს. napoliu.com-ი საინტერესო ახალ ამბავსაც გვაწვდის, რომ ნაპოლიში ჩვენებურს ასე დაუბახებენ - Cuarascelia (კუარასკელია). როგორც იცით, ხეიხას სერია A-ში გადაბარება დროის საკითხია. გავრცელებული ინფორმაციით, ის ზაფხულში „ნაპოლისთან“ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

იტალიური პრესა კვარაცხელიას შესახებ ყოველდღიურად წერს და აღნიშნავს, რომ კაღში კიდევ ერთი პერსპექტიული და ნიჭიერი ფეხბურთელი მიდის, რომელიც შესაძლოა, დიდ ვარსკვლავად იქცეს.



ახირან ბურიეიძე

„კალმის ერთი მოსმით ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა“

„ლა ლიგის“ ოფიციალური გვერდი 30-ე ტურის „მატრის მეფეს“ გამოკითხის შედეგობით ადგენს, სადაც გამარჯვების დიდი შანსი ავალენსის კარის დარაჯ გიორგი მამარდაშვილს აქვს. ქართველი ფეხბურთელის მშვენიერ სერიაზე AS-იც წერს:

„სულ რაღაც ხუთიოდე ტურის წინ ბორდალასის გუნდი მესამე იყო, რომელმაც ამ სეზონში ყველაზე მეტი გოლი გაუშვა და „ბარსელონის“ წინააღმდეგ დიდი ანგარიშით (1-4) მარცხი ნიშნავდა, რომ ისინი დაცვით თამაშში ფსკერზე დაეშენენ, თუმცა კალმის ერთი მოსმით ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა... ისე მოხდა, რომ სხენებული შეხვედრის შემდეგ ბორდალასის გუნდმა მხოლოდ 1 გოლი გაუშვა. ჯერ ყველაფერი შორსაა, თუკი „ლალიერებს“ ევროტურნირებზე გასვლა სურს, თუმცა ერთი რამ ფაქტია: გიორგი მამარდაშვილი ბრწყინვალე ფორმაშია - მას 20 თებერვლის შემდეგ საკუთარ კარში გოლი არ მიუღია და მისი კარისკენ წასული ბურთი 15-ჯერ მოიგერია“.

„ვალენსია“ უახლოეს მატჩს 11 აპრილს სტუმრად „რალიო ვალეკანოსთან“ გამართავს, 23 აპრილამდე კი, როცა ბორდალასის გუნდი თასის ფინალში „ბეტისს“ დაუპირისპირდება, „ლა ლიგაში“ 3 ტური ჩატარდება.

ახირან ბურიეიძე